საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

**საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა**

თარიღი: 22 დეკემბერი, 2023 წელი

დრო: 19:00 - 21:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ლაშა ტუღუში - ლიბერალური აკადემია თბილისი
3. ეკა ციმაკურიძე - დემოკრატიის ინდექსი საქართველო
4. ნინო ელიზბარაშვილი - ასოციაცია ქალი და ბიზნესი
5. ზვიად ელიზიანი - საერთაშორისო ბიზნესის განვითარების და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრი
6. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
7. მაკა ჯახუა - ასოციაცია და რადიო მწვანე ტალღა
8. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
9. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი

განსახილველი საკითხები:

- დავების განმხილველი კომისიის წევრების საკითხი
- პლატფორმის წესდებაზე მსჯელობა
- ევროკავშირი-საქართველოს პლატფორმის შეხვედრის დაგეგმვა

- სამუშო ჯგუფებისა და ქვეჯგუფების შეხვედრების დაგეგმვა
- პლატფორმის რეგიონული წარმომდაგენლობის საკითხზე მსჯელობა
- თემატური შეხვედრების ორგანიზება 9 პრიორიტეტთან დაკავშირებით
- რიგით მე-4 კონფერენციის (სამმხრივი) საკითხზე მჯელობა
- სხვა საორგანიზაციო საკითხები

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა თანათავმჯდომარე, ნინო ჩხობაძემ.
შეხვედრაზე მსჯელობა გაიმართა საქართველოს ეროვნული პლატფორმის 2023 წლის 19 დეკემბრის საერთო კრებაზე, დავების კომისიის ორი კანდიდატის მიერ ხმათა თანაბარი რაოდენობის (33/33) მიღებასთან დაკავშირებით. საკითხი კრების საარჩევნო კომისიამ განსახილველად გადასცა ახლადარჩეულ საბჭოს და შესთავაზა წილისყრის პროცედურის ჩატარება.

1. საბა ბრაჭველი (ღია საზოგადოების ფონდი) - 33 ხმა
2. ლია ნადარაია (ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი) - 33 ხმა

ვინაიდან, არც წესდება და არც დავების კომისიის არსებული დებულება ასეთ შემთხვევასთან დაკავშირებით ჩანაწერს არ ითვალისწინებს, საკოორდინაციო საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ ჩატარდეს წილისყრა ელექტრონული ფორმით თანაბარი ხმების მქონე პირთა შორის, Google Form-ის საშუალებით და სამდივნომ გაუწიოს ხმის მიცემის პროცედურას ტექნიკური უზრუნველყოფა. ასევე ხმის მიცემის პროცედურით ხმათა უბრალო უმრავლესობით გამოვლენილი კანდიდატი გახდეს დავების კომისიის წევრი; წილისყრის პროცედურის ხანგრძლივობის ვადად ფორმის გამოქვეყნებიდან 48 საათი განისაზღვროს; ერთი ორგანიზაცია ხმას აძლევს ერთ კანდიდატს. საკოორდინაციო საბჭოს წევრს, მესამე ჯგუფის კოორდინატორს, ნუგზარ კოხრეიძეს, ეთხოვა მოამზადოს წერილი პლატფორმის წევრებისთვის, რომელიც გაიგზავნება Google Form-ის ბმულთან ერთად.

საბჭოს შეხვედრაზე განიხილეს წესდებაში შესატანი ცვლილებების საკითხი, რომელიც გამოწვეულია თანათავმჯდომარეების პოზიციის შემოღებით. საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, საკოორდინაციო საბჭოს დაევალა გაასწოროს წედებაში გაჩენილი ის შეუთავსებლობები, რომელიც შესაძლოა წესდების სხვა მუხლებთან ამ ცვლილების გამო წარმოიშვა. საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა შეიმუშავეს ცვლილებების პაკეტი, რომელიც საბჭოს შეხვედრაზე წარმოადგინა მესამე ჯგუფის კოორდინატორმა, ნუგზარ კოხრეიძე. ცვლილებების მომზადების პროცესში მონაწილეობდნენ: მესამე ჯგუფის კოორდინატორი, ნუგზარ კოხრეიძე, მეხუთე ჯგუფის კოორდინატორი, რაისა ლიპარტელიანი, მეოთხე ჯგუფის კოორდინატორი, ნუკრი ყველაშვილი და მეხუთე ჯგუფის კოორდინატორი, ირინა ფუტკარაძე. შეხვედრაზე დეტალურად განიხილეს ეს ცვლილებები. დაზუსტდა რამდენიმე პუნქტი და საბჭოს შეხვედრაზევე მოხდა კონკრეტული პუნქტების რედაქტირება. აღსანიშნავია, რომ წესდებაში შეტანილი ცვლილებები მოქმედებს ეროვნული პლატფორმის მომდევნო საერთო კრებამდე. დამატებით, საკოორდინაციო საბმჭო შეიმუშავებს დებულებას პლატფორმის საბჭოს

საქმიანობის შესახებ. დამსწრეთა გადაწყვეტილებით, 27 დეკემბერს გაიმართება მომდევნო შეხვედრა, რომელზეც მოხდება წესდების ცვლილებების კენჭისყრა.

ევროკავშირი-საქართველოს პლატფორმის შეხვედრის დაგეგმვის საკითხი განიხილება მომდევნო საბჭოს სხდომებზე, რადგან ამ დრომდე არ არის დაზუსტებული მეხუთე სამუშო ჯგუფში წარდმოაგენილი მეორე კანდიდატის სტატუსი, თუ რამდენად წარმოადგენს იგი პროფესიულ კავშირს. შესაბამისად, საკითზხე მსჯელობა მოითხოვს დამატებით ინფორმაციებს და მათი გაზიარების შემდეგ იქნება შესაძლებელი შეხვედრის ორგანიზება.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაზე განხილულ იყო წევრი ორგანიზაციების მიერ სამდივნოსთვის განახლებული მონაცემების მიწოდების საკითხი. კერძოდ, მნიშვნელოვანია მომზადდეს ფორმა, რომელიც გაეგზავნება ყველა წევრს შესავსებად. განახლების მიზანია სამუშაო ჯგუფებში წარმომადგენლების დაზუსტება და ჯგუფების წევრთა და წარმომადგენელთა განახლება, წევრი ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაციების საფუძველზე.

საბჭომ განიხილა პლატფორმის წევრი ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ გამოგზავნილი წერილი, რომელიც სამდივნოს მუშაობას ეხებოდა. საბჭოს წევრები მიიჩნევენ, რომ აუცილებლია მოხდეს რეაგირება აღნიშნულ წერილზე.

ასევე, სამდივნო სამუშაო ჯგუფების კოორდინატორებს გაუგზავნის ჯგუფების სამუშაო გეგმის ფორმას, რომელიც უნდა ასახავდეს 2024 წლის გეგმებს თითოეული ჯგუფისთვის. შესაბამისად, სამუშო შეხვედრის ფორმატში განხილული უნდა იყოს ჯგუფების სამოქმედო გეგმის საკითხი.

საბჭომ იმსჯელა რეგიონული წარმომადგენლობების საკითხზეც. ეთხოვა სამდივნოს, ყველა წარმომადგენელთან დაზუსტდეს თანახმა არიან თუ არა ისევ გააგრძელონ წარმომადგენლობითი უფლებები სხვადასხვა რეგიონებში.

საკითხი, თემატური შეხვედრები 9 პრიორიტეტთან დაკავშირებით, განიხილება მომდევნო სხდომებზე, რომელშიც ჩართული იქნება მეორე თანათავმჯდომარეც. მნიშვნელოვანია ამ საკითხის დროული განხილვა, რადგან 2024 არის საარჩევნო წელი და საკითხების განხილვა არ უნდა გადაიდოს და გაჭინაურდეს, რადგან წლის მეორე ნახევარი პრაქტიკულად სრულად დაეთმობა წინასაარჩევნო პროცესებს.

საბჭოს შეხვედრაზე იმსჯელეს მეოთხე ერთობლივი კონფერენციის ორგანიზების საკითხზე. ერთობლივი კონფერენციის თემატიკა უკავშირდება სამოქამაქო საზოგადოების განვითარებას.

საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, უნდა შეიქნას წესდების მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც 1 წლის განმავლობაში დააკვირდება წესდების მუშაობას

და წლის ბოლოს წარმოადგენს ანგარიშს. ამ საკითხზე მომზადდება გადაწყვეტილება და გაზიარდება პლატფორმის წევრებთან.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე